ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7
2019 წლის 24 იანვარი

ქ. ყვარელი

„ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №14 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/03/2018, 010250020.35.164.016288), კერძოდ:

1. დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტუტული ერთეული – ზედამხედველობის სამსახური (ტექსტში შემდგომ – სამსახური) არის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომლის ძირითადი ამოცანაა ზედამხედველობის განხორციელება გარე რეკლამის განთავსებაზე, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესებზე, გარე ვაჭრობაზე, მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე.“.

2. ამოღებულ იქნეს დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ და ,,დ“ ქვეპუნქტები;

3.ამოღებულ იქნეს დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ და ,,თ“ ქვეპუნქტები;

4. დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გ) აწარმოოს კონტროლი საქალაქო მეურნეობის, კეთილმოწყობის, გარე იერსახის, გარე რეკლამის, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის, ავტოტრანსპორტის პარკირებასა და სანიტარიული დასუფთავების ღონისძიებებზე;“.

5. ამოღებულ იქნეს დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ“ და ,,ე“ ქვეპუნქტები.

6. ამოღებულ იქნეს მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა“ და ,,ვ“ ქვეპუნქტები.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ყვარლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **ვანო მამულაშვილი**
მოვალეობის შემსრულებელი